

ევროპის უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2017 წელი

სარჩევი

უნივერსიტეტის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამები

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამები

სამაგისტრო პროგრამები

სხვა პროგრამები

შეფასების სისტემა

საკონტაქტო ინფორმაცია

თავი 1

უნივერსიტეტის შესახებ

უნივერსიტეტის შესახებ

უნივერსიტეტის მისია

ევროპის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ამოცანას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით არსებული გამოწვევების შესატყვისი ღირებულებების მატარებელი სტუდენტის განსავითარებლად აკადემიური გარემოს შექმნა.

უნივერსიტეტის მისიაა, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების შეთავაზებით, შრომის ბაზართან და აკადემიურ სფეროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საგანმანათლებლო ნოვაციების ამსახველი მოწინავე დარგების განვითარებით, საქართველოს, კავკასიის რეგიონისა და ევროპული საგანმანათლებლო ბაზრის კონტექსტში, ახალი ხედვის მატარებელ საგანმანათლებლო დაწესებულებად დამკვიდრება.

უნივერსიტეტის მოქმედი ამოცანაა უმაღლესი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით განახორციელოს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ჯანდაცვის და აგრარულ მეცნიერებათა მიმართულებით.

უნივერსიტეტის მიზნებია:

- ა) საუნივერსიტეტო განათლების განვითარება;
- ბ) აკადემიური განათლების ორი საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ასევე, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- გ) უნივერსიტეტის მისიის რეალიზება, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში კავკასიის აკადემიური გარემოს ინტეგრაციის ხელშეწყობით;
- დ) საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ე) ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელების ხელშეწყობა სტუდენტური მობილობის წახალისებით, განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების თვალსაზრისით.
- ვ) სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- ზ) სტუდენტების პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა დასაგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

თავი II

საგანმანათლებლო პროგრამები

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამები

სამართალი

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

საერთაშორისო სამართალი

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობები

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

ფსიქოლოგია

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

ინგლისური ფილოლოგია

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

სამაგისტრო პროგრამა

სამართალი

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

სხვა საგანმანათლებლო პროგრამები

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

მასწავლებლის მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია

მიზნები

შედეგები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამართალი

ზოგადი ინფორმაცია

- *უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *მიმართულება:* სამართალი
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* სამართლის ბაკალავრი
Bachelor of Law
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* მარიამ ცისკაძე;
თეა ჯუღელი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობდნენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები;

პროგრამის მიზანი

- ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამის მიზანია : ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა; სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხების ცოდნა-გაცნობიერებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სწავლება; პროგრამა ასევე ისახავს მიზნად – სტუდენტი დაეუფლოს იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ მეთოდებს და შეიძინოს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, კომუნიკაციისა და სწავლების უნარი . სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრებისაკენ სწრაფვის უნარი.
- სტუდენტს, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი ასპექტების გარდა, ეძლევა შესაძლებლობა შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და მოახდინოს საგნების კონცენტრაცია ერთ-ერთი შემდეგი დარგი/სპეციალობით: **საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი, კერძო სამართალი, საერთაშორისო სამართალი**. სტუდენტს უფლება აქვს, განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება , თავისი ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებით სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების არჩევით – მაგალითად, კერძო სამართალში საერთაშორისო სამართლის ელემენტებით ან სისხლის სამართალში საჯარო სამართლის ელემენტებით. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ასევე დაეუფლოს სამართლის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ისტორიულ და ეკონომიკურ ასპექტებს. სტუდენტს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ (სამართლის საბაკალავრო პროგრამით დაშვებულ ფარგლებში) ისწავლოს არაიურიდიული დისციპლინებიც, რომლებიც მას ხელს შეუწყობს, გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ დარგში ან/და დარწმუნდეს თავისი პროფესიის არჩევანის სისწორეში.
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კანონი არ ითხოვს სპეციალური სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
- თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს განტკიცებისა და დემოკრატიული ღირებულებების უზენაესობისაკენ მიისწრაფვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია – სამართლის ახალი პრინციპებისა და თანამედროვე განათლების სისტემაზე აღზრდილი კადრების არსებობა ; მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის უკვე სამართლის არაერთი სკოლა არსებობს , სათანადოდ მომზადებული იურისტების საჭიროება ჯერ კიდევ აშკარად ჩანს , რადგან ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი ის უარყოფითი შედეგები, რაც საბჭოურმა წყობამ დატოვა ქართულ სამართლებრივ სივრცეში ; საბჭოთა ეპოქაში სრულიად უგულვებელყოფილი იყო სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელი მთელი რიგი ინსტიტუტებისა – საერთოდ არ არსებობდა კერძო საკუთრების ცნება, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ კი სრულიად განსხვავებული , არადემოკრატიული და არასამართლებრივი მიდგომები არსებობდა. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ აღიარებული ფასეულობებისა და განათლების ახალი მეთოდების განვითარების საფუძველზე , კვალიფიციური, ფუნდამენტური ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე იურისტების მომზადება აქტუალურ საკითხად რჩება.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის) სიღრმისეული ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის) სიღრმისეული ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

- კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, სამართლის თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა და სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები. სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (პირები, გარიგებები, ვადები); სანივთო (ქონებრივი) სამართალი (ქონება, მფლობელობა, საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები); ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი (შრომითი და თანმდევი ურთიერთობები); საკორპორაციო სამართალი (პირთა და კაპიტალის გაერთიანების სამართლებრივი ფორმები); ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები; სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, იურიდიულ პროფესიათა ეთიკა;

ამასთანავე, კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს სხვადასხვა დარგი/სპეციალობა/სპეციალიზაციის საგნები:

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდებში – რომის სამართლის საფუძვლები, ქართული სამართლის ისტორია, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კანონმდებლობის თეორია, მეთოდიკა და საკანონმდებლო ტექნიკა, სამართლებრივი აზროვნების ისტორია.

კერძო სამართლის სპეციალობით – ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა, საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი, საერთაშორისო კომერციული სამართალი, მედიაცია- დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, საბანკო სამართლის საფუძვლები, ინტელექტუალური საკუთრების

სამართლის საფუძვლები, დაზღვევის სამართალი, შედარებითი კერძო სამართლის საფუძვლები, შედარებითი საკორპორაციო სამართალი, სანოტარო სამართალი ;

სისხლის სამართლის სპეციალობით – სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გაღრმავება, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა, მტკიცებითი სამართალი, შესავალი სასჯელადსრულებითი სამართალში, შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, პატიმართა სპეციალური კატეგორიები საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში;

საჯარო სამართლის სპეციალობით – საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციური მართლმსაჯულება, ევროპის საჯარო სამართალი: კონსტიტუციურ–ინსტიტუციური განზომილება, საქართველოს საარჩევნო სამართალი, საბაჟო სამართალი, საგადასახადო სამართლის საფუძვლები, სამოხელეო სამართალი, სამშენებლო სამართალი, სააღსრულებო სამართალი, ბიზნესი და ადამიანის უფლებები, განათლების სამართალი;

საერთაშორისო სამართლის სპეციალობით – საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი, საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი ან/და საერთაშორისო სამართლის მიმართულების ნებისმიერი სხვა საგანი ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამიდან.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

შეუძლია დამოუკიდებლად ან/და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, წესდების, საჩივრის, სარჩელის, და ა.შ.) შედგენა.

დასკვნის უნარი

შეუძლია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთება.

აქვს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შეგროვების, განმარტების, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია მშობლიურ და არანაკლებ ერთ უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიება და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობით ფორმით, ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა. ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სწავლის უნარი

შეუძლია საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული სიახლეების გაანალიზება. აქვს ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოძიებისა და დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და მუდმივი განახლების უნარი.

ღირებულებები

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. მზად არის, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო სამართალი

ზოგადი ინფორმაცია

- *უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *მიმართულება:* სამართალი
- *დარგი/სპეციალობა:* საერთაშორისო სამართალი
International Law
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი
Bachelor of International Law
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* იოსებ კელენჯერიძე

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები;

პროგრამის მიზანი

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლის დარგში კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამართლებრივი საკითხების სწორად გაანალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. სტუდენტი ეუფლება იურისტისათვის აუცილებელ მეთოდებს, იღებს როგორც საერთაშორისო სამართლის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ასევე ეუფლება ზოგადად სამართლის აუცილებელ თეორიებსა და პრინციპებს.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო სპეციალიზაციის სფეროს - საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა, რაც აისახება დარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო საერთაშორისო სამართლის დარგის სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის:

სამართლის ცნება და თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები. სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები;

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;

საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები, საერთაშორისო სამართლის პროცესუალური ნორმები და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა;

კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. ქონებრივი სამართალი, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და

კანონის მიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი;

ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები;

სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმის წარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო სამართლის სფეროში. გააჩნია საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

შეუძლია დამოუკიდებლად ან/და მინიმალური ხელმძღვანების პირობებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, იურიდიული შინაარსის დოკუმენტების შედგენა (ნორმატიული აქტის პროექტი, ხელშეკრულება, წესდება, საჩივარი, სარჩელი).

შესწევს უნარი შეადგინოს საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი პოზიციის ამსახველი დოკუმენტი.

დასკვნის უნარი

აქვს ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხო (ინგლისურ) ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით სხვადასხვა სახის დოკუმენტების მომზადებისა და ინფორმაციის გადაცემის უნარი. ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სწავლის უნარი

აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნების უნარი, შეუძლია დაადგინოს ინფორმაციის წყაროები, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და მუდმივად განახლების უნარი.

ღირებულებები

იცნობს იურისტის ეთიკის ფარგლებს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს საზოგადოებრივ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებსა და

ღირებულებებს, და იცავს პროფესიული, მათ შორის დიპლომატიური ეთიკის ნორმებს, მოწოდებულია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტის განმტკიცებას ეროვნულ სამართალში და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულებების გათვალისწინებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები

ზოგადი ინფორმაცია

- *უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *მიმართულება:* სოციალური მეცნიერებები
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელები:* ავთანდილ კიკნაძე
რამაზ ლომინაძე

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები;

პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის და პროფესიული უნარების მქონე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

პროგრამა ორიენტირებულია:

- სტუდენტს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოების, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ;
- გააცნოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების და გაერთიანებების, მსოფლიო პოლიტიკის განვითარების პრობლემების და ტენდენციების, საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების საკითხების, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების, საერთაშორისო კონფლიქტების აქტუალური პრობლემების შესახებ. სტუდენტებს წარმოადგენა შეუქმნას საერთაშორისო ურთიერთობების პროცესების, საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის ევოლუციის შესახებ, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის კანონზომიერებისა და ლოგიკის შესახებ. სტუდენტებს შეასწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, გააცნოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ფაქტები, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მისი როლი და ადგილი.
- შეასწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები;
- მოახდინოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების გააზრება, განზოგადება და ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება;
- შეასწავლოს სტუდენტს შესაბამისი პროფილით პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი 2 სავალდებულო უცხო ენა, აგრეთვე მისცეს ცოდნა ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, სამართლის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, საფუძვლებში, კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროში აუცილებელი დონით.
- დაეხმაროს სტუდენტებს დიპლომატიური საქმიანობის საფუძვლების, თანამედროვე დიპლომატიის თეორიისა და პრაქტიკის, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების დაუფლებაში, საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების შესწავლისა და რეგულირების საკითხებში.
- ხელი შეუწყოს სტუდენტებს ოპერატიული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარების, დოკუმენტებთან, სამეცნიერო წყაროებთან, ლიტერატურასა და ინტერნეტ-რესურსებთან დამოუკიდებელი მუშაობის უნარების შექმნაში.

სტუდენტს გამოუმუშაოს:

- მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მიმდინარე სხვადასხვა ახალი პროცესებისადმი ყურადღების მიდევნების, რელევანტურობის აღქმისა და ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი.
- ევროკავშირის ინსტიტუციური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პრობლემების შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და რეგიონული ინტეგრაციის ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სისტემებში მიმდინარე ცვლილებებისა და თეორიული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი.
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები.
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, ანალიზის მსჯელობის, დასაბუთების აუცილებელი უნარები.
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საკითხების შესწავლა მოხდება ისტორიულ და მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებთან ინტეგრირებულად, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გამოიმუშაონ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის და პროცესების შეფასების, საკუთარი ხედვისა და ანალიზის, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა სიტუაციების პროგნოზირების და მოდელირების უნარები.

სწავლის შედეგები

პროგრამით დასახტლი მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი შედეგების მიღწევას, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტმა იცის:

- საერთაშორისო ურთიერთობების სფერო, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა და სტრუქტურა;
- იცის საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკური მეცნიერებების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის ზოგადი ცნებები, ელემენტები და ტერმინოლოგია. აცნობიერებს მათ პარადიგმებს; პოლიტიკურ მეცნიერებაში თეორიული მიდგომები და მათი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები, სახელმწიფოს, პოლიტიკური სისტემების, პოლიტიკური პროცესების, ინტერესთა აგრეგაციისა და არტიკულაციის ფორმები;
- იცის მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკური სისტემები მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე;

- იცის ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპები;
- წამყვანი ქვეყნების საშინაო და საგარეო, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის მეთოდები;
- ქვეყნების ეროვნული ინტერესები, პრიორიტეტები, დოქტრინები, საგარეო პოლიტიკის მექანიზმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საშინაო ფაქტორებთან მათი ურთიერთკავშირი;
- ევროკავშირის ინსტიტუტები და გადაწყვეტილებების მიღების პროცესები;
- საქმიანი ურთიერთობების, დიპლომატიური პროტოკოლის და ეტიკეტის როლი, ადგილი და განხორციელების წესი.

სტუდენტი აცნობიერებს

- მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს;
- თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებს;
- საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს;
- საერთაშორისო პოლიტიკის არსს, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მნიშვნელობას;
- მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური სისტემების, კონსტიტუციური წყობის, პოლიტიკური რეჟიმების ხასიათის, ხელისუფლების ყველა შტოს ფუნქციონირების, ცენტრისა და რეგიონის აგებულების კომპლექსურ საკითხებს;
- მსოფლიო პოლიტიკასა და კულტურაში ქვეყნების ადგილსა და როლებს;
- პოლიტიკური მონაწილეობის თავისებურებებს და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების სპეციფიკას;
- მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებას, თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ურთიერთდამოკიდებულებების წარმომქმნელი პროცესების და დამოუკიდებელ ელემენტთა სტიქიურობისა და მისი მართვის პრობლემებს.
- ახალ მსოფლიო წესრიგში აშშ-ის როლს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტს შეუძლია:

- გლობალური და რეგიონალური პროცესებისა და პოლიტიკის ინტერპრეტირება, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში;
- პოლიტიკური პროცესების სწორი აღქმა და შეუძლათ განსაზღვრონ პოლიტიკის როლი ისტორიულ და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში;
- საჯარო პოლიტიკის სფეროში ემპირიული და თეორიული მასალების შეჯერების საფუძველზე შეუძლია კრიტიკული გააზრება და პოლიტიკური პროცესების ანალიზი;
- შეუძლია შეაფასოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე;
- თანამედროვე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის საფუძველზე ევროკავშირის და აშშ-ის პოლიტიკის კრიტიკულად აღქმა და გააზრება;
- დასავლეთის რეგიონის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების კომენტირება და ანოტირება;

- დასავლეთის რეგიონის მოვლენების, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროცესების დადგენა;
- ევროინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების განვითარებაში მონაწილეობის მიღება;
- საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში ევროკავშირთან და აშშ-თან ურთიერთ-თანამშრომლობის პოლიტიკის ადგილობრივ ჩარჩოში ინტერპრეტირება.
- ევროპული ინტეგრაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ევროპული ფასეულობების საქართველოს რეალობასთან მისადაგებისა და დანერგვის უნარი.
- ანალიტიკური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;
- სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას და გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისას;
- გაანალიზოს ახალი განყენებული მონაცემები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და დაუკავშიროს მიღებულ ცოდნას;
- წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით შეუძლია რეგიონმცოდნეობის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და ეფექტური პრეზენტაციის ჩატარება;

დასკვნის უნარი

- შეუძლია პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის განზოგადება, კონკრეტული ფაქტების ანალიზი და მათი შეფასება;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებისა პრობლემებზე დისკუსიის დროს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიული კონცეფციების გამოყენება;
- წამყვანი ქვეყნების განვითარებისა და ინტეგრაციის პროცესებზე ახალი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი და შესაბამისი დასკვნის გაკეთება;
- სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების, საკუთარი მოსაზრების წარმოჩენისა და დაცვის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
- დარგობრივი სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;
- მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ორ უცხო ენაზე) სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი;
- შეუძლია პოლიტიკურ დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და პოლიტიკური საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა;
- ფლობს დიალოგის სრულფასოვანი წარმართვის უნარს;

- შეუძლია სტატისტიკური ინფორმაციის განზოგადება, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ინფორმაციის დამუშავება და შენახვა, საერთაშორისო ურთიერთობისა სისტემის განვითარებასა და „საქმიან თამაშებზე“ შესაბამისი მოდელების წარმოდგენა;
- ინფორმაციულ ბანკებზე დაყრდნობით საერთაშორისო, რეგიონალური და ლოკალური კონფლიქტების აღწერა და დახასიათება;
- უცხოურ და მშობლიურ ენაზე ოფიციალური და საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების ფლობა.

კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე:

- შეუძლია რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემა, კომუნიკაციის დამყარება ზეპირი ან წერილი ფორმით;
- შეუძლია ურთიერთობა შესაბამისი დარგების სპეციალისტებთან პროფესიული ლექსიკის გამოყენებით, რეფერატული სახის ნაშრომების მომზადება, დოკუმენტაციისა და საქმიანი წერილების შედგენა, ჯგუფურ პრეზენტაციებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი აზრის სწორად და მკაფიოდ გამოხატვა.
- გამომუშავებული აქვს წერის კულტურა და სწორმეტყველების ჩვევები.

კომუნიკაცია უცხო ენაზე:

- პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი ეუფლება 2 უცხო ენას - არჩევით.
- ორივე უცხო ენაზე ბაკალავრს შეუძლია სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალის კითხვა და გააზრება ლექსიკონის გარეშე, სპეციალისტებთან სამუშაო კონტაქტის დამყარება, ასევე გამომუშავებული აქვს აზრის სწორად ჩამოყალიბების, მოსმენილის გაგების და წერილი უნარ-ჩვევები. წამოჭრილი საკითხების მიმართ საკუთარი მოსაზრებების და დამოკიდებულების განმარტება შეუძლია დისკუსიის დროს, ხოლო დარგში არსებული ლიტერატურის გამოყენება – მცირე კვლევითი პროექტის მოსამზადებლად.

სწავლის უნარი

- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, რესურსების ფართო სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვა და დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავება.
- საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენის, პირადი მიზნების ჩამოყალიბების, საკუთარ შესაძლებლობებისა და ინიციატივის გამოვლენის უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიება, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- საინფორმაციო და საგნმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძველზე თვით განვითარების უნარი.
- ახალი იდეების წარმოდგენის უნარი;
- შეუძლია დარგის გააზრება და პროფესიის გათავისება, მოახდინოს ცოდნის აკუმულირება, გააცნობიეროს ინტერდისციპლინურობა და ესმოდეს დარგის მნიშვნელობა;

ღირებულებები

- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხებისათვის გაზიარება;
- საჯაროდ და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამოქალაქო და საზოგადოებრივი ეთიკური ნორმების, პრინციპებისა და ფასეულობების გააზრება, აღიარება, დაცვა და პატივისცემა;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და საერთოევროპული ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- ადამიანებთან და პროფესიულ გარემოებაში კორექტული ქცევისა და დიალოგის წარმოების უნარი;
- მოვლენებისა და პროცესების ობიექტურად, მიუკერძოებლად შეფასების უნარი.
- საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში დამკვიდრებული ეთიკური და მორალური ნორმების დაცვისა და მათ შესაბამისად ქცევის უნარი;
- ლიბერალური ღირებულებების განმტკიცების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფსიქოლოგია

ზოგადი ინფორმაცია

- *უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *მიმართულება:* სოციალური მეცნიერებები
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* ფსიქოლოგიის ბაკალავრი
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* ია აფთარაშვილი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

1. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

2. პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები;

პროგრამის მიზანი

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებითა და პროფესიული ღირებულებებით აღჭურვილი, პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე შეძლებს უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებს, საჭიროებებს, გამოწვევებს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. ბაკალავრის კვალიფიკაციის ფარგლებში კურსდამთავრებულსმისცეს ფართო და თანამედროვე ცოდნა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, მისი განვითარების ისტორიის, ძირითადი თეორიებისა და თანამედროვე მიმდინარეობების, ადამიანის განვითარების თავისებურებების, ინდივიდისა და ჯგუფების ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერებებისა და ქცევაზე მოქმედი (კულტურული, სოციალური და პიროვნული) ფაქტორების, ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიების შესახებ. ასევე, კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს ანალიტიკური, შემოქმედებითი და პრაქტიკული აზროვნების უნარი, ვერბალური და წერითი კომუნიკაციის ჩვევები, მცირე მასშტაბიანი ფსიქოლოგიური კვლევების დაგეგმვის, განხორციელების, მიღებულ მონაცემთა ბაზისურ დონეზე სტატისტიკური დამუშავების, ანალიზის, ინტერპრეტაციის და შედეგების პრეზენტაციის უნარი კვლევის აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებით;

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის გზით.

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ადგილი და როლი სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში;
- სტუდენტს აქვს ცოდნა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების საგნისა და ამოცანების, ძირითადი ცნებების, განვითარების ეტაპების, ძირითადი მიმართულებების შესახებ, მათ შორის სოციალური, განვითარების, პიროვნებისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სახით;

- სტუდენტს გაცნობიერებული აქვს პიროვნების არსი და ტიპოლოგიური მოდელები (მათ შორის, ლერშის, აიზენკის, კეტელის, ოლპორტის);
- სტუდენტმა იცის ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიები, მათ შორის ფსიქოდინამიკური, ბიჰევიორისტული, ეგზისტენციალური, ჰუმანისტური;
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ფსიქოლოგიაში ემპირიული კვლევის ძირითადი მეთოდოლოგიები და მეთოდები (პოზიტივისტური და სტრუქტურალისტური პარადიგმების ფარგლებში, ექსპერიმენტული, კორელაციური და შემთხვევის შესწავლის მეთოდების გამოყენება);
- კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა ძირითადი მეთოდოლოგიური და მეთოდური სისტემის, მეცნიერული კვლევის ძირითადი პრინციპების, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, დაკვირვება, თვითდაკვირვება, კონტენტ-ანალიზი, ექსპერიმენტი, შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუ, კითხვარი, გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფი) შესახებ;
- ცოდნა ჩატარებული ემპირიული კვლევის მასალის დამუშავების მრავალგანზომილებიანი მეთოდების- SPSS-ის - თეორიული საფუძვლების, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის, - კვლევის ინსტრუმენტის სანდოობისა და ვალიდობის შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა კლინიკური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების (ჯანმრთელობა, დაავადება, აშლილობა და ა.შ) კანონზომიერებების, თეორიების საკლასიფიკაციო სისტემების, კლინიკური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა სოციალური აქტივობის, სოციალური ქცევის მიზეზებისა და სოციალური ურთიერთქმედების კანონზომიერებების შესახებ;
- გაცნობიერებული აქვს ორგანიზაციისა და მართვის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები, ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები, ორგანიზაციული პროცესების ეფექტურობის ხელშეწყობი ფაქტორები;
- სტუდენტმა იცის თავის ტვინის ანატომია ფუნქციონალური მოქმედების საზღვრები და გაცნობიერებული აქვს ქცევაზე მოქმედი ბიოლოგიური საფუძვლები;
- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ფსიქოლოგის პროფესიული პასუხისმგებლობა, ეთიკის საკითხები, ნორმები და სტანდარტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტს შეუძლია:

- წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე მცირე მასშტაბიანი კვლევის დაგეგმვა, სამიზნე ჯგუფების შერჩევა, ინტერვიუება, მონაცემთა დაჯგუფება, დამუშავება, შედეგების აღწერა, ანგარიშისა და კვლევითი პროექტის გაფორმება;
- პიროვნების ქცევის გარეგან და შინაგან დეტერმინანტებზე დაკვირვების უნარი;
- ადამიანის განვითარების სხვადასხვა ასაკობრივ სახეფორზე სპეციფიკურ ნიშნებზე დაკვირვება;
- სოციალურ გარემოში გამოვლენილ ქცევებზე დაკვირვება და ანალიზი;
- სხვადასხვა ორგანიზაციაში შექმნილ პრობლემურ სიტუაციაზე დაკვირვება და სიმნელებებისგან ეფექტური გზით თავის დაღწევა;
- პროფესიული საქმიანობის წარმართვა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამოყენება ფსიქოლოგიურ ეთიკისა და პრინციპების დაცვით.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის განზოგადება, სისტემატიზაცია და ფსიქოლოგიის ძირითადი კატეგორიების გარშემო გამთლიანება;
- ფსიქოლოგიური შრომებისადმი კრიტიკული მიდგომა და ანალიზი;
- ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია, განზოგადება და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება;
- განვითარების სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე მყოფი ადამიანის პიროვნული ნიშნებისა და ქცევების შედარებითი ანალიზი;
- სოციალურ გარემოში წარმოქმნილი პრობლემური სიტუაციის შეფასება, დასკვნის ჩამოყალიბება და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება;
- ორგანიზაციაში წამოჭრილი კონფლიქტური სიტუაციების შეფასება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა სიტუაციურ და პიროვნულ ფაქტორებს შორის.

კომუნიკაციის უნარი

კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე: ფსიქოლოგიის არსის, განვითარების ისტორიის, ძირითადი მიმართულებების, თანამედროვე მდგომარეობის პრობლემებსა და პერსპექტივების შესახებ კურსდამთავრებულს შეუძლია მსჯელობა და დისკუსიაში მონაწილეობა შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება, დოკუმენტაციისა და საქმიანი წერილების შედგენა, მოხსენებებისა და პრეზენტაციების მომზადება; ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში შეუძლია ნებისმიერი სამეცნიერო მოკლე ან საშუალო ფორმის წერილობითი ნაშრომის შექმნა და წარდგენა.

კომუნიკაცია უცხო ენაზე (ინგლისური ენა): ფსიქოლოგიის სფეროში შეუძლია სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალის კითხვა და გააზრება, ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე სპეციალისტებთან სამუშაო კონტაქტის დამყარება, თავისი დამოკიდებულების განმარტება წამოჭრილი საკითხის მიმართ. შეუფერხებლად იყენებს საერთაშორისო ინტერნეტ და სხვა ელექტრონულ კავშირს, ესმის და პასუხობს შეკითხვებს. (უცხო ენის, კერძოდ ინგლისური ენის ცოდნა აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტის B2 დონეს.)

სწავლის უნარი

მიღებულისწავლის შედეგების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის ახალი სისტემების ათვისება, ასევე განვითარება ფსიქოლოგიის მომიჯნავე დარგების შესწავლით. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ შეუძლია:

- ფსიქოლოგიის მეცნიერებაში მიმდინარე სიახლეების გაცნობა და ცოდნის მუდმივად განახლება;
- მისთვის საინტერესო პროფესიული ლიტერატურის შერჩევა,
- ახალი ინფორმაციის მოპოვება და ინტელექტუალურ პროდუქტად გარდაქმნა,

- ცვლილებების ათვისება და ცოდნის ამაღლება დარგის და ქვედარგების განვითარების შესაბამისად;
- თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით პრაქტიკული უნარების განვითარება, უფრო გამოცდილ კოლეგებზე დაკვირვებით პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისება;
- საკუთარი სწავლის უნარის თვითშეფასება და ცოდნის გაფართოება დამოუკიდებლად საინფორმაციო-ტექნოლოგიური და საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებით;
- სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ფსიქოლოგიის სფეროში საკუთარი სწავლის მისწრაფებების განსაზღვრა, სიახლეების შესაბამისად სწავლის შემდეგი საჭიროებების დადგენა და სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმარება.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს მყარი პიროვნული ღირებულებები და შეუძლია მათი დაცვა. მას შეუძლია:

- გააცნობიეროს მაღალი მოტივაციის არსებობა ფსიქოლოგიის დარგში წარმატების მისაღწევად პროფესიული ჩვევების მუდმივი განვითარების თვალსაზრისით;
- ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღება სხვა პირებთან მიმართებაში, ფსიქოლოგის პროფესიული კონფიდენციალობის ღირებულების გაცნობიერება პრაქტიკულ საქმიანობაში;
- საკუთარი იდეების განვრცობა როგორც პროფესიულ წრეში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში.
- ბაკალავრი აღიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; პატივს სცემს და ერკვევა სამოქალაქო საზოგადოების ძირითად პრინციპებში. არის ტოლერანტული, შემწყნარებელი, კოლეგიალური. შეუძლია სხვისი აზრის პატივისცემა და საკუთარი მოსაზრებების დაცვა კორექტულობის ფარგლებში. აღიარებს აკადემიურ ღირებულებებს. ამას გარდა, კურსდამთავრებული ეცნობა და მყარად ითვისებს პროფესიული ეთიკის ნორმებს, დარგში დაკანონებულ ეთიკურ პრინციპებს და იცავს მათ.

საბაკალავრო პროგრამა

ინგლისური ფილოლოგია

ზოგადი ინფორმაცია

- *უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *მიმართულება/სპეციალობა:* ჰუმანიტარული მეცნიერებები/ფილოლოგია
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
/Bachelor of English Philology/
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* მია მარლანია

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა; ზოგადი უნარები; უცხო ენა - ინგლისური ენა, არჩევითი მეოთხე საგნიდან - ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია, ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.
- ინგლისური ენის მინიმალურ ზღვარს სასწავლო უნივერსიტეტი ადგენს - 35%+1;

საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები;

პროგრამის მიზანი

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებითა და პროფესიული ღირებულებებით აღჭურვილი, პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელსაც ექნება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები და შეძლებს დაიმკვიდროს ადგილი ქართულ აკადემიურ სივრცესა და შრომის ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასა და მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას. კრეატიული და კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს სტუდენტის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. ასევე, განაპირობებს სტუდენტის მზაობას სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებით გათვალისწინებული კომპეტენციებით აღჭურვილი ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის მომზადება, რომელიც შეიძენს ლინგვისტურ (ენობრივ), სამეტყველო, სოციოკულტურულ, დისკურსულ და კომპენსატორულ კომპეტენციებს, რათა სწორად გამოიყენოს ენობრივი და სამეტყველო ნორმები და ადეკვატურად შეარჩიოს საკომუნიკაციო ქცევის წესები სოციოკულტურული, აკადემიური და პროფესიული სამეტყველო სიტუაციების გათვალისწინებით.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის უმთავრესი მიზანია, რომ კურსდამთავრებული დაეუფლოს ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის (Common European Framework of Reference, *CEFR*) მინიმუმ ორ უცხო ენას - *ინგლისურ ენას C 1 (Advanced- (Effective Operational Proficiency/პროფესიული ფლობის დონეზე) და მეორე უცხო ენას (რუსული ან ფრანგული) B 2 (ზღვრულ განვითარებულ)დონეზე)* და ასევე შეასწავლოს სხვადასხვა ენარის დარგობრივი ლიტერატურული ნაწარმოები და განუვითაროს მათი კრიტიკული ანალიზის, ლიტერატურული ტექსტების ფორმალური, ესთეტიკური და სტრუქტურული ნიშანთვისებების შეფასების უნარები, ინგლისური ენის პრაქტიკული და თეორიული კურსები, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებული სხვა კომპლექსური საკითხები.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის პრიორიტეტული მიზნებია:

სტუდენტს განუვითარდეს მულტილინგვური კომპეტენცია; სამეტყველო უნარები (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) მინიმუმ ორ უცხოურ ენაზე (ინგლისური და რუსული ან ფრანგული)

გამოუმუშავდეს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ჩამოუყალიბდეს დადებითი დამოკიდებულება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და გააცნობიეროს იგი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება;

განუვითარდეს განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი;

მოემზადოს თანამოღვაწეობისათვის სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან;

განუვითარდეს ენების ეფექტურად სწავლის უნარი.

ამ საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე ხდება კონკრეტული ამოცანების გადაჭრა. ეს ამოცანები სამ კატეგორიად დაიყოფა:

სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა:

გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა; მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების ცოდნა მაღალ პროფესიულ დონეზე; უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობა; დარგობრივი ტექსტის სახეებისა და მათი მახასიათებლების და ინტეპრეტაციის ცოდნა; წერის, მოსმენის, კითხვისა და საუბრის ცოდნა შესაბამის დონეზე.

სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება:

სამეტყველო უნარ-ჩვევების; ენობრივი უნარ-ჩვევების; სტრატეგიული უნარ-ჩვევების; ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, როგორებიცაა თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვა.

დამოკიდებულებების ჩამოყალიბება:

ინდივიდუალური მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა;

პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა; ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ.

სწავლის შედეგები

დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული)

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ჰუმანიტარული მეცნიერებების და ინგლისური ფილოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აქვს დარგობრივი სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი.

- იცნობს ინგლისური ფილოლოგიის მთავარ კონცეპციებს და მიმართულებებს; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; აცნობიერებს ლიტერატურის

ისტორიული ცვლილებების და ენის ფონეტიკური, ლექსიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული მოვლენების როლს ინგლისური ფილოლოგიის განვითარებასა და ფუნქციონირებაში.

- იცნობს ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით ცნებით აპარატს;
- სტუდენტს აქვს საბაზისო ცოდნა ინგლისური ენის ისტორიული განვითარების დარგში; ის აცნობიერებს ენობრივი ცვლილებების კანონზომიერებას და ხედავს ინგლისურ ენას ისტორიულ ჭრილში; თანამედროვე ენაში მიმდინარე მოვლენებს განსაზღვრავს ისტორიული ცვლილებების თვალსაზრისით და ენობრივ ცვალებადობას უკავშირებს სოციო-კულტურული კონტექსტის მოდიფიკაციებს.
- სტუდენტს გააჩნია სისტემური ცოდნა თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის თავისებურებებზე, სიტყვათწარმოების პროდუქტიულ ტიპებზე, ინგლისური ენის ლექსიკის გამდიდრების არსებულ გზებზე და საშუალებებზე.
- სტუდენტს შეუძლია თანამედროვე ინგლისური ენის სტილისტური ბუნებისა და მისი ფუნქციონალური შესაძლებლობების განსაზღვრა; იცის ინგლისური სალიტერატურო და ავთენტური სტილისტური ნორმის კანონზომიერებანი; ესმის ფუნქციონალური სტილის როლი ტექსტის ანალიზის პროცესში;
- სტუდენტი იცნობს ინგლისური ენის, როგორც სისტემის, გრამატიკულ წყობას; ის ერკვევა ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების პრობლემებში; იცის მეტყველების ნაწილები, დროები, წინადადებების დაყოფის პრინციპები და სახეობები, არსებითი სახელის, ზედსართავის და ზმნის გრამატიკული კატეგორიები; ის ფლობს ინგლისური ენის გრამატიკის თეორიულ საფუძვლებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მისთვის, როგორც მომავალი ენის სპეციალისტისთვის. იცის დარგობრივი ტერმინოლოგია
- სტუდენტს ესმის თარგმანმცოდნეობაში გამოყენებული მთავარი ცნებები და ტერმინები; იცნობს თარგმანის თეორიის ძირითად პრინციპებს, მოკლე ისტორიას, მის პრაგმატიკულ, სემანტიკურ და სტილისტიკურ ასპექტებს, თარგმნის პროცესის მოდელირების, ტექსტის მთარგმნელობითი ანალიზის მეთოდებს, თარგმნის ძირითად სტრატეგიებსა და მათი ადეკვატურად გამოყენების ხერხებს. აცნობიერებს თარგმნის, როგორც ენათაშორისი და ინტერკულტურული კომუნიკაციის არსს;
- სტუდენტი ერკვევა ტექსტის ლინგვისტიკის ზოგად საკითხებში: ტექსტის სტრუქტურა, კონტექსტი, ინტერტექსტუალობა, მხატვრული ტექსტის ანალიზის მეთოდები და სკოლები; ტექსტის ანალიზის კომპონენტები, სტრუქტურა, ტექნიკა და სხვა. ერკვევა დარგობრივ ტერმინოლოგიაში: ფაბულა, სიუჟეტი, სიმბოლო, კომპოზიცია და სხვა.
- იცის ინგლისური ლიტერატურის განვითარების თავისებურებები შუა საუკუნეებიდან დღემდე, ფილოსოფიურ-ესთეტიკური საფუძვლები; ცალკეული ინგლისელი მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციები და შემოქმედებითი თავისებურებები, თემატიკა და პრობლემატიკა, მათი მხატვრული მეთოდის სპეციფიკა; აცნობიერებს ინგლისელი მწერლების ნაწარმოებთა პოეტიკას, რომელთაც განსაზღვრეს მთელი ლიტერატურული ეპოქების სპეციფიკა და შინაარსი.
- სტუდენტს გააჩნია საბაზისო და სისტემური ცოდნა XIX –XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში; იცნობს ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვან ცვლილებებსა და პრობლემებს, აცნობიერებს ამერიკელი მწერლების ნაწარმოებთა პოეტიკას, რომელთაც განსაზღვრეს მთელი ლიტერატურული ეპოქების სპეციფიკა და შინაარსი.

- ინგლისური ენის პრაქტიკული კომპონენტის ათვისების კუთხით, კურსდამთავრებული დაუფლებულია ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი ინგლისური ენის მაღალ დონეს (პროფესიული ფლობა) **C 1**, და აკმაყოფილებს ამ დონის ოთხივე სამეტყველო კომპეტენციისადმი (კითხვა, მოსმენა, საუბარი, წერა,) წაყენებულ მოთხოვნებს:

- **კითხვა (Reading):** შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ვრცელი და რთული სხვადასხვა ჟანრის ტექსტი (მხატვრული, საინფორმაციო, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვა ხასიათის), როგორც კონკრეტულ, ასევე აბსტრაქტულ საკითხებზე, მათ შორის დარგობრივი ტექსტები და გაიგოს შინაარსი (სარეკლამო ბროშურები, საგაზეთო სტატიები, სამეცნიერო სტატიები, საქმიანი კორესპოდენცია, ენციკლოპედიური მონაცემები, ტექნიკური ინსტრუქციები, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები და სხვა); გამოიტანოს ქვეტექსტები და ავტორის ჩანაფიქრი, ამოიცნოს დეტალები და განწყობა.

- **მოსმენა (Listening):** პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგება, ყურადღების კონცენტრირება საჭირო მონაცემებზე, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგება და მისი შინაარსის გადმოცემა (კონკრეტულ და აბსტრაქტული თემატიკის ირგვლივ). ესმის აუდიო მასალა, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და განათლების დარგში; შეუძლია უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით და დარგობრივ თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება; გააჩნია უნარი ზოგადი შინაარსის გასაგებად ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, საუბრის თემა.

- **საუბარი (Speaking):** ფლობს ენის მატარებელთან სპონტანური დაუგეგმავი ინტერაქციის ხერხებს ენის შეუფერხებელი ფლობის გარკვეული ხარისხით. გაბმულად აღწერს საკუთარ გამოცდილებას და მოვლენებს, საკუთარ ოცნებებს, იმედებს, ამბიციებს, მოყვას მაგალითები და ხსნის მიზეზებს საკუთარი გეგმებისა და შეხედულებების გასამყარებლად. შეუძლია მოყვეს ამბავი, მოთხრობა ან წიგნისა თუ ფილმის სიუჟეტი და გადმოსცეს საკუთარი რეაქციები, დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით; შეუძლია მოვლენების ადეკვატური შეფასება, შედარება, კრიტიკა და ანალიზი ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით. დიალოგის გამართვა, როლური გათამაშება, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა - კამათი (მონოლოგური/ დიალოგური, მოცემულ სიტუაციაზე მოთხრობის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ თემებზე პრეზენტაციის გაკეთება). შეუძლია დამოკიდებულების და ემოციური განწყობის გამოხატვა (მოწონება, უკმაყოფილება, დაზუსტება, დადასტურება, მადლობა, ბოდიში, გაკვირვება, სიხარული) და სიტუაციის დახასიათება; წაკითხული და გაგონილი ინფორმაციის შეჯამება და ძირითადი საკითხების გამოყოფა; პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და მხარდაჭერა/ოპონირება.

- **წერა (Writing):** პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდა ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად წერის უნარ-ჩვევებს და წესებს (დაწეროს ოფიციალური წერილი, თხზულება, კარნახი და ესე ინგლისურ ენაზე); ფლობს საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ გამოხატვის უნარს, გააჩნია დარგობრივი და სალიტერატურო სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, იდიომები, ანდაზები და ფრაზეოლოგიური ერთეულები და სალაპარაკო კლიშეები) აღჭურვილი თხზულების/ესეს შედგენის უნარი, რომელიც გამყარებულია კონკრეტული მოსაზრების მხარდაჭერით/კრიტიკით და გააჩნია არგუმენტირებული დასკვნები და სტრუქტურულად შეესაბამება სტანდარტებს; ფლობს ინფორმაციული, სამადლობელო,

მოსაზრებით, მოსაწვევი, დამაზუსტებელი, განმარტებითი, შედარებითი და აღწერითი, თხრობითი და მოვლენათა განვითარების ახსნა-განმარტებითი სახის წერილისა თუ სხვა ნაშრომის წერის წესებს და უნარებს.

მეორე უცხო ენაზე

- გააჩნია ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი მეორე უცხო ენის (რუსული ან ფრანგული) B2 (ზღვრული განვითარებული) დონე და აკმაყოფილებს 4 ძირითადი სამეტყველო კომპეტენციისადმი: **კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი** წაყენებულ მოთხოვნებს.
- **კითხვა:** B 2 დონის შესაბამისი მხატვრული, ინფორმაციული და სხვა ხასიათის ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება; კითხვის სხვადასხვა სახის ფლობა: ჩუმი კითხვა, სწრაფი კითხვა, გაცნობითი, შერჩევითი და ინტენსიური კითხვა; გარკვევით და გამართულად ნაცნობი ტექსტის წაკითხვა შესაბამისი კითხვის წესებისა და ინტონაციის დაცვით.
- **წერა:** ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, საქმიანი მიმოწერის ჩვევების ჩამოყალიბება (დაწეროს ოფიციალური წერილი, თხზულება და ესე). სტუდენტი შეძლებს წერისას გამოიყენოს ნასწავლი ლექსიკური ერთეულები, დარგობრივი ტერმინები, და ფორმალური კონსტრუქციები, ტექსტის ამა თუ იმ სახეობის სტრუქტურული მახასიათებლები.
- **მოსმენა:** აუთენტური უცხოენოვანი მეტყველების გაგება, ყურადღების კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესება, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგება და მისი შინაარსის გადმოცემა. უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით და სპეციალიზირებულ თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება (დიალოგი, ინტერვიუ); ზოგადი შინაარსის გასაგებად ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, საუბრის თემა.
- **საუბარი:** შეუძლია სხვადასხვა კომპლექსური ზოგადი და დარგობრივი თემატიკის ირგვლივ ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით საკუთარი მოსაზრების გამოხატვა განვლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით. დიალოგის გამართვა, როლური გათამაშება, პროფესიასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა-კამათი (მონოლოგური/ დიალოგური), მოცემულ სიტუაციაზე მოთხრობის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ თემებზე პრეზენტაციის გაკეთება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია ინგლისური ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

შეუძლია:

- განმარტოს ენათმეცნიერებაში გამოყენებული მთავარი ცნებები და ტერმინები; ახსნას ლინგვისტური მოვლენები ენის ისტორიაში, თეორიულ ფონეტიკასა და გრამატიკაში,

ლექსიკოლოგიაში, გერმანიკულ ფილოლოგიაში, მხატვრული თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში; გაანალიზოს სპეციალური ტერმინოლოგია და ცნებები და გააზრებულად გამოიყენოს სამეცნიერო მსჯელობის პროცესში;

- გამოიყენოს მიღებული ცოდნა მხატვრული ტექსტის ორიგინალში ადექვატური აღქმა-გააზრებისა და ლიტერატურული ანალიზისათვის და გაანალიზოს აღნიშნული ეპოქების ლიტერატურული ტექსტი, გამოიკვლიოს მართებულად შესასწავლი საკითხი;
- მოახდინოს გრამატიკულ კატეგორიათა ინტერპრეტაცია ისტორიული ცვლილებების გადასახედიდან; შეადაროს გრამატიკაში, ფონოლოგიაში და ორთოგრაფიაში მომხდარი ცვლილებები ინგლისური ენის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე;
- გაიმდიდროს და უფრო ღრმად ჩაწვდეს ბრიტანული და ამერიკული ლექსიკოგრაფიის სკოლის საფუძვლებს, პრაქტიკაში გამოიყენოს ლინგვისტური პრინციპები, როგორც ტრადიციული, ასევე ინოვაციის გზით სხვადასხვა პრობლემის გადასაწყვეტად;
- ახერხებს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ენობრივი სისტემის ემპირიულ და თეორიულ დონეებზე გააზრების თვალსაზრისით; შეუძლია სხვადასხვა სტილისტური მარკერების ამოცნობა; ტექსტების ტიპოლოგიის მიხედვით გარჩევა და გარემოების და კონტექსტის განსაზღვრა ლექსიკის სხვადასხვა შრეების მიხედვით; მხატვრულ ტექსტში თუ სხვადასხვა სახის ორიგინალურ დოკუმენტაციაში სტილისტური მარკერების პოვნა და მხატვრულ ტექსტზე მათი გავლენის განსაზღვრა; ავტორის ჩანაფიქრის წვდომა და ტექსტის ადექვატური ინტერპრეტაცია ლინგვისტურ თუ ექსტრალინგვისტურ დონეზე;
- განმარტოს ინგლისური ენის თეორიულ გრამატიკაში გამოყენებული მთავარი ცნებები და ტერმინები;
- გაანალიზოს მორფოლოგიისა და სინტაქსის როგორც გრამატიკულ მოვლენათა სტრუქტურული თავისებურებანი; მოახდინოს გრამატიკულ კატეგორიათა ინტერპრეტაცია ოპოზიციათა ბაზაზე, გამონათქვამის მოდელირება და მისი ანალიზი ფუნქციონალურ და სემანტიკური პერსპექტივის გათვალისწინებით; წინადადების სინტაქსური ანალიზის გავრცობა უფრო მსხვილ ენობრივ ერთეულებზე (იგულისხმება ტექსტი) და ამ ანალიზის შედეგების განზოგადება;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში სხვადასხვა სფეროს უცხოენოვანი ავთენტური და არავტენტური ტექსტების გაგება-ანალიზი-თარგმნა; ახალი ტექსტის შედგენა-სინთეზი; შეუძლია ახალი ენობრივი ერთეულების, სინტაქსური კონსტრუქციებისა და სამეტყველო მოდელების ანალიზი (შედარება, განზოგადება) და მათი გააზრებული გამოყენება და თარგმნა რეალურ სამეტყველო პროცესში;
- შეუძლია გაარჩიოს და გადმოსცეს ტექსტის შინაარსი; დააფიქსიროს საკუთარი დამოკიდებულება, დაწეროს მოკლე მიმოხილვა; გამოიყენოს მიღებული თეორიული ცოდნა მხატვრული ტექსტის დედანში ადექვატური აღქმა-გააზრებისა და ანალიზისათვის. შეუძლია გამოიკვლიოს მართებულად შესასწავლი საკითხი და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები.
- კურსდამთავრებული დაეუფლა კომუნიკაციურ-ენობრივ უნარებს და შეუძლია ენობრივ თუ კომუნიკაციურ აქტივობებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებულ სიტუაციაში გადატანა. შეუძლია ტექსტების გადამუშავება მათი მომდევნო გამოყენების მიზნით და *მედიაცია*, რომელიც წარმოადგენს როგორც ზეპირ აქტივობას, ისე წერიტსაც. იგი გულისხმობს ნებისმიერი სახის და სირთულის ტექსტის შინაარსის გადმოცემას თარგმნის,

რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით, ასევე კონკრეტული ტექსტის შინაარსი მისაწვდომი გახადოს იმისთვის, ვისაც ამ ტექსტზე უშუალოდ არ მიუწვდება ხელი.

დასკვნის უნარი

შეუძლია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების ინგლისური ფილოლოგიის დარგისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, გააჩნია თვითანალიზის უნარი. შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების პრინციპების დასაბუთება და დაცვა.

სტუდენტს შეუძლია:

- შეუძლია სამეცნიერო ნაშრომის წაკითხვა, წაკითხულის შეფასება, ანალიზი, სინთეზი და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.
- სტუდენტს გამოუმუშავდა ლიტერატურული შრომებისადმი კრიტიკული მიდგომის უნარი. მას შეუძლია მოცემულ დისციპლინაში სხვადასხვა პრობლემაზე დისკუსიის წარმართვა, თანმიმდევრულ და ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით კორექტულად კამათი.
- აქვს განვითარებული ახალი მონაცემების დამუშავების და ანალიზის უნარი; მას შეუძლია შეაჯამოს და შეაფასოს მისაღები და მიღებული შედეგები; ისტორიული ეტაპების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე მას გამოაქვს დასკვნები და მოვლენებს აძლევს სათანადო შეფასებას.
- სტუდენტს შეუძლია ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, ენის საკითხებზე დისკუსიის წარმოება.
- სტუდენტს განვითარებული აქვს ახალი და გამოყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზის და დასკვნის გამოტანის უნარი; მას შეუძლია შეაჯამოს და შეაფასოს მისაღები და მიღებული შედეგები; გრამატიკის თეორიული მასალის წაკითხვისას შეუძლია თავისი დამოკიდებულების გამოხატვა და დაკვანების გაკეთებას.
- სამუშაო ჯგუფში მუშაობამ განუვითარა სტუდენტს წაკითხულიდან სათანადო ინფორმაციის გამოტანის, კონტექსტის, ქვეტექსტის, ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურული ხერხების განსაზღვრის და ინფორმაციის სინთეზისა და დასკვნების გამოტანის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემაზე; შეუძლია ანგარიშის, საქმიანი წერილის, მოთხრობისა და სხვადასხვა ტიპის ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა /პრეზენტაცია; შეუძლია არამხატვრული ტექსტის სწორად თარგმნა და რეფერირება, ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა.

მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარი

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება,

შეუძლია რევერატული სახის ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია,

შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით,

შეუძლია პროფესიულ მოლაპარაკებასა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;

უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი

ინგლისურ ენაზე

- კურსდამთავრებული დაუფლებულია ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი ინგლისური ენის მაღალ დონეს (პროფესიული ფლობა) **C 1** და აკმაყოფილებს ამ დონის ოთხივე სამეტყველო კომპეტენციისადმი (*კითხვა, მოსმენა, საუბარი, წერა*) წაყენებულ მოთხოვნებს, (იხ. ცოდნა და გაცნობიერება).
- კურსდამთავრებულს ესმის დიდი მოცულობის რთული შინაარსის ტექსტები სხვადასხვა თემატიკაზე, იცებს დაფარულ მნიშვნელობას, საუბრობს სპონტანურად სწრაფი ტემპებით, სირთულეების გარეშე იყენებს სიტყვებსა და გამოთქმებს. შეუძლია ენის ეფექტური გამოყენება სამეცნიერო და პროფესიულ საქმიანობაში. შეუძლია რთულ თემებზე ზუსტი, დეტალური, გრამატიკულად სწორად აწყობილი ინფორმაციის აგება და ახდენს ტექსტის ორგანიზების მოდელებისა და დამაკავშირებელი საშუალებების ფლობის დემონსტრირებას.
- ესმის სხვადასხვა სახის სპეციალიზირებული დარგობრივი ტექსტები, ახდენს რთული ფრაზების მნიშვნელობის განმარტებას, ენის მატარებლებთან საუბრობს თავისუფლად, შეუძლია საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირება/გამოხატვა, იყენებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს პროფესიული, სასწავლო თუ ყოველდღიური სიტუაციების მნიშვნელობის გამოხატვისთვის.

მეორე უცხო ენაზე

- გააჩნია ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი მეორე უცხო ენის (რუსული ან ფრანგული) **B2** (ზღვრული განვითარებული) დონე და აკმაყოფილებს 4 ძირითადი სამეტყველო კომპეტენციისადმი: *კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი* წაყენებულ მოთხოვნებს. (იხ. ცოდნა და გაცნობიერება)
- ფლობს სასაუბრო ენას სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციებისთვის (ყოფითიდან პროფესიულამდე), მომზადების გარეშე შეუძლია ესაუბროს ენის მატარებელს. შეუძლია ნათლად და ფართოდ გამოხატოს საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებზე, განმარტოს და დააფიქსიროს საკუთარი აზრი მნიშვნელოვან საკითხსა და პრობლემაზე არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოყვანით. შეუძლია არაადაპტირებული ლიტერატურის წაკითხვა უცხო ენაზე და რთული ტექსტების შინაარსის გადმოცემა.

- **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.**

- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა. სტუდენტს შეუძლია კრიტიკულად აზროვნება, ფლობს კრიტიკული კითხვის მეთოდებს, შეუძლია ტექსტის მომზადება საჯარო გამოსვლისათვის, გააჩნია პრაქტიკული უნარები სამეცნიერო ტექსტის აგების კუთხით, შეუძლია წარმართოს საქმიანი მიმოწერა, ადგენს საქმიან წერილს, ელექტრონულ წერილს, სამოტივაციო წერილს და ამისთვის აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა და გაეცნოს უახლეს მიღწევებს აღნიშნულ სფეროში, დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

- შეუძლია სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ჰუმანიტარული მეცნიერებების/ინგლისური ფილოლოგიის სფეროებში საკუთარი სწავლის მისწრაფებების განსაზღვრა, სიახლეების შესაბამისად სწავლის შემდეგი საჭიროებების დადგენა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
- შეუძლია განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის გაგრძელება, აქვს სწავლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეგნებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა;
- კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს უცხო ენების დამოუკიდებლად სწავლის უნარი და იყენებს **სწავლა სწავლებით მეთოდს (Learning by teaching (LdL))**, რაც გამოიხატება შედეგების დამოუკიდებლად შეფასებაში, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაში; სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაში; კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების სტრატეგიების გამოყენებაში, მიზნის გამოკვეთაში, რომელსაც ემსახურება ესა თუ ის აქტივობა ან დავალება, სამუშაოს შესრულების გზის დამოუკიდებლად განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის სხვისი დახმარებით მართვაში, ეფექტიანად რესურსების გამოყენებაში და გუნდურ მუშაობაში. ამ ყველაფრის შედეგად კურსდამთავრებული აცნობიერებს საკუთარ და ალტერნატიულ მიდგომას კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას.

ღირებულებები

- მონაწილეობს ჰუმანიტარული მეცნიერებების/ინგლისური ფილოლოგიის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად: პატივს სცემს მრავალფეროვნებას, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო ჯგუფში, გამომუშავებული აქვს იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, გამოუმუშავდა სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;

- ჩამოუყალიბდა დადებითი განწყობილება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და გააცნობიერა იგი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება;
- განუვითარდა განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი;
- მზადაა თანამოდგაწეობისათვის სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან;
- შეუძლია *კულტურათა დიალოგში* თავისუფლად ჩართვა უცხოენოვანი ინფორმაციის მიღების და ამოკრეფის პროცესში, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, შეფასებების გამოთქმა, საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან პარალელების გავლება. სწავლის შედეგად ბაკალავრს გაულრმავდა კულტურული კუთვნილების განცდა, გააცნობიერა კულტურული მრავალფეროვნება. ახასიათებს ტოლერანტობა კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ, პოულობს ანალოგიებს, განსხვავებებს საკუთარ და დასავლეთ-ევროპული სულიერ სამყაროებს შორის, ამოიცნობს სტერეოტიპულ შეფასებას; ითვალისწინებს განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში მიღებულ ქცევის წესებს (აკვირდება და აანალიზებს სოციოკულტურულ თავისებურებებს, იცავს დასავლეთ-ევროპული სოციო-კულტურული გარემოსთვის დამახასიათებელ ნორმებს. მსჯელობს დარგობრივ და სპეცილიზირებულ ტექსტებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების შესახებ და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას შესაბამისი არგუმენტების მოყვანით ლიტერატურიდან, ისტორიიდან, პირადი გამოცდილებიდან და სხვა); განიხილავს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას იმ კულტურის კონტექსტში, რომელშიც ის შეიქმნა; აანალიზებს სიტუაციებს.

სამაგისტრო პროგრამა

სამართალი

ზოგადი ინფორმაცია

- *უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური:* მაგისტრატურა
- *სწავლების ენა:* ქართული
(სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ, ფრანგულ ან/და გერმანულ ენაზე)
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *მიმართულება:* სამართალი
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* სამართლის მაგისტრი / Master in Law
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 4 სემესტრი
- *სამაგისტრო პროგრამის მოცულობა:* 120 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* სამართლის დოქტორი გიორგი ციცავი
თეა ჯუღელი

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ დადგენილი წესით სპეციალობასა და ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული B2 (იხ. „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი) მისაღები გამოცდის ჩაბარების შედეგად მოიპოვებს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას. ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია შემდეგი სერტიფიკატის წარმოდგენით:

გერმანული ენა	Goethe – Zertifikat B2
ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 600
ფრანგული ენა	TOEFL – 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet - based)
	Diplome de Langue Francaise (DL) (AF) Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, sprachdiplom kultusministerkonferenz

2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH

უნივერსიტეტებისთვის თავისუფლდება გერმანულში გამოცდისაგან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრატურაში საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში ;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

დ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს ამ კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე დასაშვებია იმ პირისათვის, რომელმაც გადალახა შესაბამისი ზღვარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს;

*მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოემოხა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

პროგრამის მიზანი

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია: ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა; სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარება; ახალ მულტიდისციპლინარულ გარემოში სწავლების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზრისათვის, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;

- სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგია და წერის სტანდარტები სტუდენტს შეასწავლის, დარგში არსებული პრობლემების კვლევის სხვადასხვა მეთოდებს, იურიდიული დოკუმენტაციის წერილობითი და ზეპირი ფორმით მაღალ დონეზე წარმოდგენას და ამასთანავე მისცემს ცოდნას შესაბამისი სტანდარტების დაცვით, აკადემიურად და კვალიფიციურად, წერითი ფორმით ასახოს ნაშრომში, როგორც საკუთარი შეხედულებები და დასკვნები, ასევე, სხვა ავტორთა მოსაზრებების მიმართ თავისი დამოკიდებულებები;

- ინტერდისციპლინური კვლევითი ნაშრომის - ესესე სახით, შესრულებისას სტუდენტი შეისწავლის, როგორ დააკავშიროს ერთი დარგი მეორეს, მაგალითად სამართალი და პოლიტიკა, ან სამართალი და სოციოლოგია, ასეთი ნაშრომის შესრულებისას სტუდენტს მოეთხოვება, როგორც სამეცნიერო წერის კულტურისა და აკადემიური პატიოსნების დაცვა, ასევე დარგთაშორისი პრობლემების კვლევის უნარი;

- გერმანული, ფრანგული, ინგლისურ-ამერიკული სამართლის თავისებურებათა, მართლმსაჯულების სისტემათა და იურიდიული განათლების შესახებ, შესაბამის ენაზე, მიღებული ცოდნით გააცნობიერებს ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის კულტურას, შეძლებს უცხოურ ენაზე სწავლის, კვლევისა თუ პრაქტიკული საქმიანობის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ განხორციელებას;

- იურიდიული რიტორიკის პრაქტიკული კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი შეძლებს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც პროფესიულ, ისე არაიურიდიულ წრეებთან; მჭერმეტყველების ხელოვნების დაუფლება, სასამართლო დარბაზში გამოსვლისა თუ მოლაპარაკებების წარმოების სპეციფიური მეთოდების ათვისება, წარმოსათქმელი სიტყვის სწორად მომზადება, პროფესიული კამათისას, კვალიფიციური იურისტისათვის აუცილებელი თვისებების წარმოჩენა უდავო წინაპირობაა, როგორც პირადი, ისე წარმოსადგენი იურიდიული თუ ფიზიკური პირის შესახებ დადებითი შეხედულებისა და დარგის კვალიფიციური სპეციალისტის რეპუტაციის შექმნისათვის;

- პრაქტიკული უნარების განვითარება სამართლის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია; იურიდიული კლინიკები საუკეთესო საშუალებაა პრაქტიკული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების საფუძვლიანი მომზადებისათვის. ამასთან, პროგრამაში შეთავაზებულია სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსი (Street Law), რაც უმთავრესად სამართლის სწავლების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ისახავს მიზნად;

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სტუდენტის მიერ სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულებისათვის აუცილებელი კომპონენტია; ნაშრომის შესრულებისას სტუდენტი დამოუკიდებლად ქმნის წერით შრომას, სადაც აისახება პროგრამაზე სწავლისას მის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები; სამაგისტრო ნაშრომში ნათლად წარმოჩნდება, თუ რამდენად შეუძლია გაანალიზოს იურისპრუდენციის ღირებულებები და რამდენად არის მზად თავად შეიტანოს წვლილი ახალი ღირებულებების ფორმირებაში;

- სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას სტრატეგიული მენეჯმენტის სასწავლო კურსის შესწავლა სტუდენტს მისცემს იმ ცოდნას, რომელიც მას გამოადგება, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში საქმიანობისას, განსაკუთრებულად კი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებისას;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამაში შეთავაზებული სასწავლო კურსების ნაწილი სამართლის რამდენიმე დარგსა და ინსტიტუტს აერთიანებს (კერძოსა და საჯაროს - კონკურენციის სამართალი, საერთაშორისო სამართალს, კერძოსა და საჯარო-საინვესტიციო სამართალი, საჯაროსა და საერთაშორისოს - ენეჯის სამართლის ევროპეიზაცია და კლიმატის ცვლილება, საჯაროსა და სისხლის სამართალს - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა - სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებთან დაკავშირებით);
- სამაგისტრო პროგრამაში შეთავაზებულია ისეთი არჩევითი კურსები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს სიღრმისეულად შეისწავლოს სამართლის კონკრეტული ინსტიტუტები, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის პრობლემები, თუ საქართველოში ახლადამოქმედებული საერთაშორისო ნორმები.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს არჩეული სამართლის დარგის/დარგების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს არჩეული სამართლის დარგს/დარგებს მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები;

იცის სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგია და სამართლებრივი სამეცნიერო ნაშრომის წერის სტანდარტები;

იცნობს არჩეულ (გერმანული, ფრანგული, ინგლისურ-ამერიკული) სამართლის სისტემის თავისებურებებს, აცნობიერებს შესაბამისი სამართლებრივი სისტემის კულტურას;

იცის იურიდიული რიტორიკისა და მჭერმეტყველების ოსტატობის ხერხები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის, მართვის, კვლევის, ქცევისა და განმარტების უახლესი მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება, პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. აქტუალური მეთოდოლოგიის გამოყენებით, დამოუკიდებელი სამართლებრივი კვლევის განხორციელება შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ანალიზი, იურიდიულ სისტემაში ცვლილებათა დინამიკის ანალიზი, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარება და იურიდიული ფორმებით არგუმენტირება;

იურიდიული სტრუქტურის / ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და მართვის თანამედროვე, ეფექტური მეთოდების გამოყენება;

შეუძლია სამართლის სწავლების უნარ-ჩვევების გამოყენება, სამართლის დარგის აქტუალური საკითხების სასწავლო მასალად ფორმირება.

დასკვნის უნარი

ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და/ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას განხორციელებული კვლევისა და საკვლევი საკითხისა თუ პრობლემის სირთულიდან გამომდინარე სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს დასკვნის დამოუკიდებლად გაკეთებისა და დაცვის უნარი;

ინტერდისციპლინური კვლევითი ნაშრომის შესრულებისას სტუდენტს გამოუმუშავდება უნარი დააკავშიროს ერთი დარგი მეორეს და განივითაროს დარგთაშორისი პრობლემების კვლევის, შეფასებისა და დასკვნის უნარი;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე გადასცეს საკუთარი, დასაბუთებული, სამართლებრივი დასკვნები და შესაბამისი არგუმენტები, ინოვაციური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც პროფესიულ, ისე არაიურიდიულ წრეებთან;

კურსდამთავრებულს აქვს კვალიფიციური იურისტისათვის აუცილებელი თვისებები, შეუძლია მჭერმეტყველების ხელოვნების გამოყენებით სასამართლო დარბაზში გამოსვლა თუ მოლაპარაკებების წარმოება, წარმოსათქმელი სიტყვის სწორად მომზადება, პროფესიული კამათის ეფექტურად და შედეგიანად წარმართვა;

შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებისას; სამართლებრივი იდეებისა და დარგის ცოდნის მიწოდება აუდიტორიასთან.

სწავლის უნარი

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამართლის დარგის კვლევით-მეთოდოლოგიური, თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; გაიფართოოს ცოდნა სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

ღირებულებები

მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად შეუძლია არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზი და შეფასება;

შეუძლია საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების ფორმირებაში;

შეუძლია თითოეული დებულების განხილვა არა სამართლის სისტემის ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად და სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად, არამედ მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების კრიტერიუმთან ერთად.

აცნობიერებს სამართლის მეცნიერების კავშირს სხვა დარგებთან და პროფესიული საქმიანობის პროცესში მოქმედებს სამართლის სფეროს საზოგადოებრივი ამოცანის გათვალისწინებით.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია

- *სწავლების ენა:* ქართული
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 2 სემესტრი
- *პროგრამის მოცულობა:* 60 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* ნინო ჭანკვეტაძე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების (აზერბაიჯანულენოვანი /სომხურენოვანი/ აფხაზურენოვანი/ ოსურენოვანი) ტესტის საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულ აკადემიურ საზოგადოებაში ინტეგრაციას. მოამზადოს არაქართულენოვანი სტუდენტები იმ დონეზე, რომ მათ შეძლონ საბაკალავრო საფეხურის სასურველ პროგრამაზე სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელება და მის ფარგლებში ქართულ ენაზე სასწავლო მასალის ათვისება; ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად. დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს, შეძლონ ინტეგრირება ქართულ აკადემიურ საზოგადოებასა და სოციუმში მთლიანობაში, რათა მათ იგრძნონ თავი მულტიეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვან წევრებად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ განვითარებაში.

პროგრამის ამოცანაა, ენობრივი კომპეტენციების ფორმირების პარალელურად სტუდენტებს გააცნოს ქართული კულტურა და სოციო-კულტურული თავისებურებები; მისცეს გარკვეული ცოდნა საქართველოს ისტორიასა და ტრადიციებზე; ასწავლოს ქართული კულტურის ურთიერთმიმართება სხვა ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებთან.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სასწავლო მასალის ათვისებისა და გაცნობიერების შედეგად, აქვს ლინგვისტური კომპეტენციები (ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკა და სინტაქსი), სოციოლინგვისტური კომპეტენციები (მიმართვის ფორმები სხვადასხვა წრისა თუ ფენის საზოგადოებასთან), პრაგმატული კომპეტენციები (სხვადასხვა სიტუაციასა თუ გარემოში შესაბამისად მოქცევის წესის ცოდნა).

იცის გარკვეული დისციპლინებისთვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მედიცინა, ისტორია და სხვა) დამახასიათებელი დარგობრივი ლექსიკა ქართულ ენაზე.

კურსდამთავრებული იცნობს ქართულ კულტურასა და სოციო-კულტურულ თავისებურებებს; აქვს გარკვეული ცოდნა საქართველოს ისტორიასა და ტრადიციებზე; იცის ქართული კულტურის ურთიერთმიმართება სხვა ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებთან.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ფლობს ქართულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს არანაკლებ B 2 დონეზე, აღნიშნული ჩარჩოს შესაბამისად კომპეტენციათა 4 აღმწერის მიხედვით:

1. მოსმენა

კურსდამთავრებულს შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში ისეთი სასაუბრო მეტყველების (ცოცლი თუ ჩანაწერი) გაგება ნაცნობ ან უცნობ თემებზე, რომლებსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პოფესიულ სეროებში ურთიერთობისას. მას შეუძლია ლექციების/სემინარების შინაარსის, სატელევიზიო გადაცემების ძირითადი შინაარსის გაგება. სტანდარტული მეტყველების მთავარი არსის გაგება. შეუძლია დეტალური მონაცემების გაგება (მაგალითად, როგორ უნდა მოემზადოს გამოცდისთვის ან რაიმე ღომისძიებისთვის).

2. ლაპარაკი

კურსდამთავრებულს შეუძლია გარკვევით, ბუნებრივად და დაუბრკოლებლად ლაპარაკი და საუბარში აქტიური მონაწილეობა ხმაურის მიუხედავად. შეუძლია საუბარი როგორც საკუთარი, ისე შესასწავლი ენის მატარებელთან. შეუძლია დაიწყოს საუბარი, გამოთქვას აზრი და სხვასაც დაუსვას შეკითხვები. შეუძლია დაიცვას საკუთარი მოსაზრებები. შეუძლია დისკუსიის დროს გამოთქვას აზრი და მოიყვანოს არგუმენტები. შეუძლია ისაუბროს აქტუალურ თემებზე. კურსდამთავრებულს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი

შეხედულება/მოსაზრება გარკვეულ საკითხზე და წარმოაჩინოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; შეუძლია მარტივი, გამართული და აზრობრივად ჩამოყალიბებული წინადადებებით ლაპარაკი საკუთარ გამოცდილებაზე, მიზნებსა და გეგმებზე; შეუძლია თავისი აზრების მოკლედ გადმოცემა და დასაბუთება, შეუძლია წიგნის, სტატიის ან ფილმის შინაარსის გადმოცემა და მისი შეფასება, დარგობრივ თემაზე პრეზენტაციის გაკეთება და ზეპირი გამოცდის ჩაბარება. შეუძლია პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა.

3. კითხვა

კურსდამთავრებულს შეუძლია წაკითხოს და გაიგოს სხვადასხვა ტექსტი, საჭიროებისამებრ გამოიყენოს ლექსიკონი. მას შეუძლია მთავარი ინფორმაციისა და ძირითადი საკითხების გაგება თანამედროვე პრობლემებზე დაწერილი სტატიებიდან და ინტერნეტში მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება, აგრეთვე, თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების გაგება. შეუძლია თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის რთულ ტექსტს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები. შეუძლია კომპლექსური და გრძელი ტექსტების სწრაფად გადაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება.

4. წერა

კურსდამთავრებულს შეუძლია პერსონალური წერილის დაწერა და მასში გრძნობების, გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემა. შეუძლია საგნებისა და მოვლენების კარგი და ცუდი მხარეების აღწერა. შეუძლია საკუთარი აზრის დასაბუთება. შეუძლია წერილობით დავალების მომზადება და გამოცდის ჩაბარება წერილობით. მისთვის ნაცნობ თემებზე აზრობრივად და გრამატიკულად გამართული ტექსტის დაწერა. საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გადმოცემა, მიმოწერა; შეუძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე. შეუძლია პრობლემის არსის გადმოცემა, სისტემურად წარმოჩენა, მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა და წერილობითი დისკუსიის გამართვა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს ქართული ენის გრამატიკული მასალის შესწავლის თუ ახალი ლექსიკის ათვისებისას ანალიზის უნარი; მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების უნარი. შემოქმედებითი ძიების უნარი; არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის (შეჯამების) ჩამოყალიბების უნარი; სიტუაციაში ადაპტირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. აქვს დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიებისა (მათ შორის ინტერნეტით) და ეფექტურად დამუშავების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი ქართულ ენაზე. დისკუსიისას პროფესიული ლექსიკის გამოყენების უნარი. მასალის ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

შეუძლია ორიენტაცია ქართულენოვან გარემოში და წარმატებული კომუნიკაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი საჭიროებების დადგენა სასწავლო პროცესის მანძილზე. იგი მუშაობს ენის ცოდნის გაღრმავებაზე, მოიძიებს ახალ საჭირო ინფორმაციას დამოუკიდებლად.

კურსდამთავრებულს შეუძლია ისწავლოს ქართულ ენაზე აკადემიური განათლების სწავლის პირველ საფეხურზე, შესაბამისად წაიკითხოს და გაიგოს დარგობრივი ლიტერატურა.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების დაფასება და პატივისცემა. არის ტოლერანტული სხვა კულტურისა და ღირებულებების მიმართ. ჩამოყალიბებული აქვს სამოქალაქო ცნობიერება.

სტუდენტს აქვს ქართული ლიტერატურის, ტრადიციის, ისტორიის აღქმის და შეფასების უნარი, რაც უვითარებს ინტერკულტურული ურთიერთობის ჩვევებს.

მასწავლებლის მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია

- **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** დამოუკიდებლად, არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- **სწავლების ენა:** ქართული
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** არ ენიჭება
- **სწავლის ხანგრძლივობა:** 2 სემესტრი
- **საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი
- **პროგრამის ხელმძღვანელი:** ნინო ფეტვიაშვილი
- **პროგრამის თანახელმძღვანელი:** ნინო პოპიაშვილი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. ასევე, პირი ვალდებულია ჩააბაროს ევროპის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა.

პროგრამის აქტუალობა

ევროპის უნივერსიტეტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქვეყნის საზოგადოებრივი და სოციალურ ეკონომიკური აქტივობების განხორციელებას. ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა სასკოლო რეფორმა, რომლის მთავარი ამოცანაა მოხდეს მასწავლებელთა 21-ე საუკუნის გამოწვევებთან, თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აძლევს უნივერსიტეტს საშუალებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებით ხელი შეუწყოს დასახული ამოცანების განხორციელებას.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხოური ენის (ინგლისური და რუსული ენის), ქიმიის, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ფიზიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, რომელსაც ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან და მასწავლებლის სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ წარჩინებულ მასწავლებლის მოთხოვნებთან.

პროგრამის მოცულობა

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.
- პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 1 აკადემიურ წელს ანუ 2 სემესტრს და მოიცავს 60 კრედიტს;
- 1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს;
- კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.
- პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

პროგრამის სტრუქტურა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, ერთი სემესტრი 20 კვირას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დასრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტს ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან გაიაროს:

ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები (ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკით, სავალდებულო მოდული ყველა მიმართულებისთვის) - 30 კრედიტი;

შესაბამისი მიმართულების საგნის სწავლების მეთოდის სასწავლო კურსები (ჩაშენებული პრაქტიკით) - 20 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო კურსი);

სასკოლო პრაქტიკის მოდულიდან - 10 კრედიტი (შესაბამისი მიმართულებისთვის განსაზღვრული სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი);

სწავლა-სწავლების ფორმები

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს სწავლების ისეთი ფორმების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების (კლასიკური და ინტერაქტიური), სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, ასევე, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მიზნით

პრაქტიკის ობიექტზე (სასკოლო პრაქტიკა) სამუშაო პროცესში მონაწილეობის და კონსულტაციების მეშვეობით.

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ლექცია უზრუნველყოფს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას. ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით.

ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება **სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით**. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. ლექცია უნდა მიმდინარეობდეს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, მეთოდურ საშუალებათა და თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული ხასიათის ქეისების განხილვა, დისკუსია-დებატების გამართვა, საშინაო დავალების განხილვა.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ.

პედაგოგიური პრაქტიკა ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი აწვდის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საკითხისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად. პედაგოგიური პრაქტიკა მოიცავს ორ ეტაპს. ეს არის ე.წ. **ჩაშენებული პრაქტიკა**, რომელიც გათვალისწინებულია საგნის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებში. ჩაშენებული პრაქტიკა მოიცავს გაკვეთილზე ფოკუსირებულ დაკვირვებას. სტუდენტი აკავშირებს თეორიულად მიღებულ ცოდნას კონკრეტულ გაკვეთილთან და ახდენს მის ანალიზს. გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელთან ერთად ახდენს გაკვეთილის რეფლექსიას. მაგალითად, როგორ იყენებენ მასწავლებლები სხვადასხვა მეთოდს თუ რესურსს, რამდენად ხდება სხვა საგნებთან კავშირის დამყარება. როგორ იყენებენ მასწავლებლები კავშირს ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მათ უშუალო გარემოსთან, რამდენად არის მოსწავლეების მხრიდან ასეთი აქტივობებისადმი ინტერესი. ჩაიარა თუ არა გეგმის მიხედვით გაკვეთილმა, რა იყო გაკვეთილის ძლიერი მხარე, რა იყო გაკვეთილის სუსტი მხარე, რისი გამოსწორება შეიძლება და როგორ.

მასწავლებელთან ერთად ხდება მეთოდის, აქტივობის თუ რესურსის გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე, მოტივაციის ამალღების სხვადასხვა გზებზე საუბარი. ბოლოს, ჩაშენებული პრაქტიკის შემდეგ, სტუდენტმა უნდა დაწეროს არანაკლებ 2 გაკვეთილის რეფლექსია და ანგარიში.

რაც შეეხება **პედაგოგიურ პრაქტიკას**, ის მეთოდოლოგიური კურსების გავლის შემდგომ ან პარალელურად მიმდინარეობს მეორე სემესტრში. პედაგოგიურ პრაქტიკის მოცულობაა 10 კრედიტი. პრაქტიკის კომპონენტის მოთხოვნები აღწერილია შესაბამის სილაბუსში, რაც გულისხმობს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კერძოდ, გაკვეთილების ჩატარებას ყველა მიმართულებით და ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, შემდგომი რეფლექსიითა და ანგარიშის წარდგენით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც პროგრამის რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას და პედაგოგიური კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია-დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი სწავლება (cooperative), შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე (მოსმენა და ჩანაწერი); სამუშაო ჯგუფში მუშაობისას - ვერბალური (აქტივობა, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსიები/დებატები, პრეზენტაციის/მოხსენების წარდგენა), წერიტი (დავალების/პრეზენტაციის მომზადება); საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.), რაც სწავლის/სწავლების პროცესს მრავალფეროვანს ხდის. მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცების და პრაქტიკულ გარემოში დახვეწის მიზნით სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას სკოლაში, სადაც მათ საშუალება აქვთ რეალურ გარემოში დახვეწონ საკუთარი კომპეტენციები, დაგეგმონ და ჩაატარონ მასწავლებლის სტანდარტისა და ესგ-ის მოთხოვნებთან შესაბამისი გაკვეთილი, სასწავლო პროცესში შეძლონ პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების და ინოვაციური მეთოდების გამოყენება, თეორიული ცოდნის კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოსთან (საკვებო პროცესთან) მისადაგება, სამუშაო ჯგუფში კოორდინირებული და ინდივიდუალური მუშაობა, გადაწყვეტილების მიღება, შესრულებული სამუშაოს თვითშეფასება, საჭიროების გამოკვეთა და პრაქტიკაში გამოყენება. შესაბამისად, გამოყენებული მეთოდები მიმართულია ამ უნარების ჩამოყალიბებაზე. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფის თავისებურებებიდან. სწავლებისას გამოყენებული მეთოდების სწორი შერჩევა და მათი კომბინირება მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე, შემეცნებითი და კვლევითი საქმიანობის სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე, რაც უზრუნველყოფს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევას.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის,

ინტერაქტიული მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის აღწერის საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;

წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: თეზისების შედგენა, რეფერატის, პროექტის ან ესსეს შესრულება და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, სასკოლო პრაქტიკა.

დისკუსია/დებატები დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ამასთან, უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (COLLABORATIVE) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს

სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით; მარტივი ცდის ჩატარება და სხვ.

ინდუქცია - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისკენ, ფაქტების განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია - სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

ანალიზი - ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტული შემთხვევები. სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი- გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“-ს დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სწავლის შედეგები

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები

მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერისა და მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ცოდნა;
- აცნობიერებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
- იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო;
- იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი;

- იცის საგნის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
- იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და სპეციალისტებთან ერთად ქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს კლასში მოსწავლის ინტეგრაციას;
- აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება;
- აცნობიერებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და იცის როგორ დაგეგმოს გაკვეთილი;
- იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და სტრუქტურას;
- აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ირჩევს მოსწავლის მშობლებთან და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მიდგომებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
- შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა და მასზე რეაგირება;
- შეუძლია სასწავლო გარემოს შექმნა, გაკვეთილის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის მართვა სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;
- იყენებს სწავლისა და განვითარების თეორიებს პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;
- იყენებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს სწავლების პროცესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად;
- იყენებს სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით;
- იყენებს სწავლების კონკრეტულ მეთოდსა და ორგანიზების ფორმასთან დაკავშირებულ ქცევის წესებს;
- შეუძლია თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით მოტივაციის ამაღლების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;
- იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს;
- ეფექტურად იყენებს ჯგუფური მუშაობის, ასევე თანამშრომლობით, კონკრეტულ და დამოუკიდებელ სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდს.

დასკვნის უნარი

- შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა, დასკვნის გაკეთება, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა;
- შეუძლია საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და მათი დასკვნის სახით ჩამოყალიბება მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- შეუძლია ინდივიდუალური მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით გაანალიზოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროგრესი, გააკეთოს შესაბამისი დასკვნები და შეარჩიოს შეფასების შესაბამისი სტრატეგიები;

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია მოიძიოს და გამოიყენოს სასწავლო მიზნისათვის შესაბამისი რესურსები, მათ შორის ელექტრონული;
- აქვს პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- შეუძლია საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია.

სწავლის უნარი

- აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერების უნარი და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- აქვს უნარი მოიძიოს და პრაქტიკაში დანერგოს სწავლების ინოვაციური სტრატეგიები;
- შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, როგორც პროფესიაში წარმატების პირობა.

ღირებულებები

- აცნობიერებს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესია;
- აცნობიერებს დარგის უმთავრეს ეთიკურ მოთხოვნებს და იცავს მათ როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- აღიარებს მოსწავლეს, როგორც პიროვნებას;
- აცნობიერებს უწყვეტი განათლების პროცესში ჩართვის აუცილებლობას;
- აცნობიერებს პროფესიული განვითარების მნიშვნელობას;
- აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობის მნიშვნელობას პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისთვის;
- აცნობიერებს კოლეგებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარების მნიშვნელობას;
- აცნობიერებს და მოსწავლეებს უზიარებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას;
- აცნობიერებებს პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობას და იცავს მათ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასებების შედეგებით სტუდენტმა უნდა გადალახოს არანაკლებ 40+1%.

დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარია 40%.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების/ შეფასებების მინიმალური ზღვრის გადალახვისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვრის დაკმაყოფილების საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.

დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს Fx შეფასების შემთხვევაში:

დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუ სტუდენტს უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან **არანაკლებ 5 დღეში**.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდში ტარდება ერთი შუალედური გამოცდა. კონკრეტულ სასწავლო კურსში სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები, მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი.

პრაქტიკის შეფასება გაწერილია შესაბამის სილაბუსში.

შუალედური სემესტრული შეფასება- არანაკლებ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა.

- სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდში ტარდება ერთი შუალედური გამოცდა - მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისთვის შესაძლებელია განსხვავებული შეფასების დადგენა.

შუალედური შეფასება(არანაკლებ 60 ქულა) დაყოფილია კომპონენტებად:

- **აქტივობა** - სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, პროექტებისა და რეფერატის მომზადება-პრეზენტაცია, ქვიზი და სხვ. (კონკრეტდება სილაბუსებში)

- **შუალედური გამოცდა (მაქსიმუმ 20 ქულა)** - (ფორმატი კონკრეტდება სილაბუსებში)

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება

პედაგოგიური პრაქტიკა: სასწავლო პედაგოგიური პრაქტიკა უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მომზადება წარმართოს სამი მიმართულებით - სასწავლო/საგაკვეთილო პროცესი, სასწავლო/ადმინისტრაციული პროცესი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესი. შესაბამისად, პედაგოგიური პრაქტიკის მიზანია სტუდენტმა პრაქტიკაში (გაკვეთილზე) გამოიყენოს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა. მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკა ორ ეტაპიანია. კერძოდ, ეს არის ჩაშენებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პროცესზე დაკვირვებას, ხოლო მეორე ეტაპზე პედაგოგიური პრაქტიკის კურსი ყველა მიმართულებით, სადაც სტუდენტები პრაქტიკაში გამოიყენებენ და დაადასტურებენ მეთოდოლოგიური სასწავლო კურსებზე მიღებულ ცოდნას (დაგეგმავენ და ჩაატარებენ გაკვეთილებს, შექმნიან ელექტრონულ პორტფოლიოებს და დაწერენ პრაქტიკის ანგარიშს).

შენიშვნა:

შეფასების წესი, ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება, ფორმები, კომპონენტები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსებში;

დასაქმების სფერო

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის

მასწავლებელი შესაბამის საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინგლისური ენა, რუსული ენა);

- მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრები;
- პედაგოგთა გადამზადების ცენტრები;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით. სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. სასწავლო უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით.

სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში პრაქტიკაზე სტუდენტთა განაწილებას უზრუნველყოფს ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორი სკოლები, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პერსონალით (იხ. დანართი 3). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე მოწვეული პერსონალი.

შენიშვნა: მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ნინო ფეტვიაშვილი

ნონა პოპიაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურის უფროსი

მაია ხურცილავა

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, 0141, დ. გურამიშვილის გამზ. № 76

ტელეფონი: (+995 32) 2 000 171;

(+995 32) 2 141 181;

(+995 32) 2 143 583;

(+995 596) 171 171;

ფაქსი: (+995 032) 214 35 83

ელ-ფოსტა: info@eu.edu.ge